საჯარო დაწესებულებების 2023 წლის 10 დეკემბრის ანგარიშების სიზუსტის მონიტორინგის შედეგები

შინაარსი

ძირითადი მიგნებები 3

შესავალი 4

უწყებები რომელთა 10 დეკემბრის ანგარიშები არ არის ხელმისაწვდომი 6

10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული ინფორმაციის მონიტორინგის შედეგები 6

ანგარიშებში ასახული სტატიტიკა 6

ანგარიშებში ასახული საჩივრები 10

ანგარიშებში ასახული საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მიღებული უარის გადაწყვეტილებები 12

ანგარიშებში ასახული საჯარო მონაცემთა ბაზები 13

დასკვნა 14

მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

ძირითადი მიგნებები

- 82 საჯარო დაწესებულებიდან, 15-ის (მათ შორის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო) 2023 წლის 10 დეკემბრის ანგარიში საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი;

- 24 საჯარო დაწესებულების მიერ 10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული სტატისტიკური ინფორმაცია შეიცავს მნიშვნელოვან უზუსტობებს ან/და აღრიცხულია მანიპულაციურად.

- 3 საჯარო დაწესებულებას, რომლებსაც 2023 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით IDFI-ს მინიმუმ ერთ წერილზე ჰქონდა ექვს თვეზე მეტი ვადაგადაცილება, 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებული აქვს რომ ყველა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა დააკმაყოფილა.

- 21 საჯარო დაწესებულებას, რომლებსაც 2023 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით IDFI-ს მინიმუმ ერთ წერილზე ჰქონდა ექვს თვეზე მეტი ვადაგადაცილება, ანგარიშში ყველა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე მინიჭებული აქვს დაკმაყოფილებული ან მიმდინარე სტატუსი;

- 38 საჯარო დაწესებულება, რომელთანაც IDFI-ს 2023 წელს გაგზავნილი ჰქონდა მინიმუმ ერთი საჩივარი, ანგარიშში არ აფიქსირებს საჩივრების შესახებ ინფორმაციას ან აღნიშნავს რომ საჩივარი საერთოდ არ შესულა.

- 10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გადაწყვეტილება მიღებული აქვს მხოლოდ 36 საჯარო დაწესებულებას. მათ შორის, უარის გადაწყვეტილების მიმღები პირის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ 5 შემთხვევაშია ასახული.

- ანგარიშში მხოლოდ 4 საჯარო დაწესებულებას აქვს ასახული საჯარო მონაცემთა ბაზების შესახებ ინფორმაცია.

- პარლამენტის თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ, 10 დეკემბრის ანგარიშების წარდგენაზე საპარლამენტო კონტროლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით წარმოდგენილი რეკომენდაციების აღსრულებასთან დაკავშირებით, ამ დრომდე მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა.

- საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2023 წლის IV კვარტალში უნდა დასრულებულიყო 10 დეკემბრის ანგარიშის ერთიანი ფორმის შემუშავება, რაც ამ დრომდე არ შესრულებულა.

შესავალი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგინოს, აგრეთვე საკანონმდებლო მაცნეში გამოაქვეყნოს, მიმდინარე წლის ანგარიში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესახებ. კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- საჯარო დაწესებულებაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების სტატისტიკური ინფორმაცია (მათ შორის რამდენი დაკმაყოფილდა და რამდენს ეთქვა; უარი);
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების და მასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ ინფორმაცია;
- საკანონმდებლო აქტების შესახებ ინფორმაცია, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას, ასევე უარის გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობა;
- დაწესებულების მიერ საჯარო მონაცემთა ბაზების და პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების შესახებ;
- საჯარო მოსამსახურეთა მიერ სზაკ-ის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის სახდელების დადების შესახებ.

განვლილ წლებში IDFI-ს მიერ, განხორციელებული საჯარო დაწესებულებების 10 დეკემბრის ანგარიშების სიზუსტის მონიტორინგის შედეგები, აჩვენებდა რომ ხშირი იყო შემთხვევები როდესაც საჯარო დაწესებულებები ანგარიშებში ასახავდნენ კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამო მონაცემებს. ასევე, კონტროლის სათანადო მექანიზმების არარსებობის პირობებში, ანგარიშებს მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა და მთელი რიგი უწყებები არ ერიდებოდნენ მასში ასახული მონაცემების არაკეთილსინდისიერ და მანიპულაციურ აღრიცხვას.

2021 წელს, საქართველოს პარლამენტში შეიქმნა თემატური მოკვლევის ჯგუფი, რომელმაც შეისწავლა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ანგარიშების წარდგენაზე საპარლამენტო კონტროლის ეფექტიანობა. თემატური მოკვლევის ფარგლებში წარმოდგენილი იყო შემაჯამებელი რეკომენდაციები, რომლებიც ითვალისწინებდა მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებებს. სამწუხაროდ, პარლამენტის თემატური მოკვლევის ჯგუფის რეკომენდაციების აღსრულების კუთხით, ამ დრომდე მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა.

აღსანიშნავია, რომ საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2026 წლის სტრატეგიაში ხაზგასმულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაციის დამუშავების ერთიანი სტანდარტის არსებობის მნიშვნელობა. აგრეთვე, 2023-2024 წლების სამოქმედო

გეგმით გათვალისწინებული იყო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ წლიური ანგარიშების (ე.წ 10 დეკემბრის ანგარიში) ერთიანი ფორმის შემუშავება ზემოთხსენებული მოკვლევის რეკომენდაციების საფუძველზე[1]. გეგმის მიხედვით აღნიშნული აქტივობის დასრულება გათვალისწინებული იყო 2023 წლის IV კვარტალში, თუმცა ამ დრომდე ანგარიშების ერთიანი ფორმა შემუშავებული არ არის.

საჯარო დაწესებულებების 10 დეკემბრის ანგარიშების კონტროლის ეფექტიანობის ზრდას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ქვეყანაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის გაუარესების ფონზე. IDFI-ს უწყვეტი მონიტორინგის მიხედვით, 2022 წლიდან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მხრივ არსებული მდგომარეობა ქვეყანაში მკვეთრად უარესდება. მაგალითად, 2022 წელს სამინისტროებში გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხების მაჩვენებელი 62%-ით, ხოლო მათი დაქვემდებარებული სსიპ-ების 65%-ით შემცირდა.

წინემდებარე კვლევისთვის შეირჩა აღმასრულებელი ხელისუფლების ის უწყებები (სულ 82 უწყება) რომლებსაც IDFI-მ 2023 წელს, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების უპასუხოდ დატოვების გამო მიმართა ადმინისტრაციული საჩივრით.

10 დეკემბრის ანგარიშების სიზუსტის კონტროლს კვლავ ართულებდა, ანგარიშში ინფორმაციის ასახვის სპეციფიკა[2].

მიუხედავად მონიტორინგთან დაკავშირებით არსებული სირთულეებისა, IDFI-ს 2023 წლის პრაქტიკის და საჯარო დაწესებულებების 10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული ინფორმაციის ლოგიკური კონტროლით, კვლავ შესაძლებელი გახდა შეუსაბამობების იდენტიფიცირება.

---

[1] საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა, აქტივობა 3.2.1.3 *საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით (მუხლი 49) გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ წლიური ანგარიშების (ე.წ. 10 დეკემბრის ანგარიში) ერთიანი ფორმის შემუშავება (საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ მომზადებული კვლევის რეკომენდაციების საფუძველზე).*

[2] მაგალითად, სტატისტიკური ინფორმაცია აერთიანებს საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შესული წერილების ან/და საჩივრების შესახებ ჯამურ მონაცემებს, საიდანაც (განსაკუთრებით ბევრი წერილების მქონე უწყებებში) ვერ ხერხდება, კონკრეტული წერილის მიმართებით უწყების მიერ მინიჭებული სტატუსის გამორკვევა. ამასთან, საჯარო დაწესებულები სტატისტიკის წარმოებისას ნაკლებად ახდენენ მიღებული განცხადებებისა და მათზე გაცემული პასუხების შინაარსობრივ შეფასებას. მაგალითად, თუ უწყებაში შევიდა 1 წერილი რომლითაც მოთხოვნილია, პირობითად 10 განსხვავებული შინაარსის ინფორმაცია, სტატისტიკაში ეს ათი მოთხოვნა აისახება როგორც 1 მოთხოვნა. ხოლო აღნიშნულ წერილის პასუხად, 10 შინაარსის სხვადასხვა მოთხოვნიდან 9-ის უპასუხოდ დატოვების შემთხვევაშიც, სტატისტიკაში აისახება როგორც დაკმაყოფილებული წერილი, საუკეთესო შემთხვევაში ნაწილობრივ დაკმაყოფილებული.

უწყებები რომელთა 10 დეკემბრის ანგარიშები არ არის ხელმისაწვდომი

შესწავლილი 82 საჯარო დაწესებულებიდან, 15-ის ანგარიში საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე. კერძოდ, კვლევის ფარგლებში IDFI-ის მიერ ვერ იქნა მოძიებული შემდეგი უწყებების 2023 წლის 10 დეკემბრის ანგარიშები:

1. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;
2. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი:
3. სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
4. სსიპ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო;
5. სსიპ-სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური;
6. სსიპ-ღვინის ეროვნული სააგენტო;
7. სსიპ- სურსათის ეროვნული სააგენტო;
8. სსიპ-სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი;
9. სსიპ-სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო;
10. სსიპ-ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი;
11. სსიპ-შემოქმედებითი საქართველო;
12. სსიპ-დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო;
13. სსიპ-დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო;
14. სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური;
15. სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო;

10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული ინფორმაციის მონიტორინგის შედეგები

ანგარიშებში ასახული სტატიტიკა

კვლევის ობიექტი საჯარო დაწესებულებების 10 დეკემბრის ანგარიშების მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ უწყებების მიერ ანგარიშებში ასახული სტატისტიკური ინფორმაცია შეიცავს მნიშვნელოვან უზუსტობებს ან/და აღრიცხულია მანიპულაციურად. სამ საჯარო დაწესებულებას 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებული აქვს რომ, 2023 წელს შესული ყველა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა დააკმაყოფილა. ამ უწყებების, სტატისტიკა, მხოლოდ IDFI-ს მიერ გაგზავნილ წერილებზე დაყრდნობით არ შეესაბამება რეალობას. მაგალითად, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს, სსიპ-ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს და სსიპ-ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს 10 დეკემბრის ანგარიშებში მითითებული აქვთ, რომ 2023 წელს შესული ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილეს. 2023 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით, თითოეულ მათგანს უპასუხოდ ჰქონდა დატოვებული IDFI-ს მიერ 2023 წლის

27 აპრილიდან 2 მაისამდე შუალედში გაგზავნილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილი, რომელიც მოიცავდა 13 სხვადასხვა შინაარსის მოთხოვნას.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი საჯარო დაწესებულებების 10 დეკემბრის ანგარიშებში ხშირია შემთხვევები, როდესაც სტატისტიკაში დაკმაყოფილებული წერილების გარდა, ყველა სხვა წერილს მინიჭებული აქვს მიმდინარე სტატუსი. სტატისტიკაში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულ წერილზე მიმდინარე სტატუსის მინიჭება გამართლებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ 10 დეკემბრის მდგომარეობით, კონკრეტულ წერილზე არ არის გასული კანონმდებლობით დადგენილი 10 დღიანი ვადა და მიმდინარეობს შესაბამისი პასუხის მომზადების პროცედურები. **თვეობით ვადაგადაცილებული წერილებისათვის, მიმდინარე სტატუსის მინიჭება ატარებს მანიპულაციურ ხასიათს, რომელიც მიზნად ისახავს უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის დამალვას.** ამასთან, ამ გზით საჯარო დაწესებულება თავს არიდებს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ინფორმაციის (რომელ საკანონმდებლო აქტებს ეყრდნობოდა საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გადაწყვეტილებისას ან ვინ იყო მსგავსი გადაწყვეტილების მიმღები პირი) ანგარიშში ასახვას.

კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებულია 21 საჯარო დაწესებულება, რომლებსაც 2023 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით IDFI-ს მინიმუმ ერთ წერილზე ჰქონდა 6 თვეზე მეტი ვადაგადაცილება, თუმცა ეს წერილები 10 დეკემბრის ანგარიშში ასახულია როგორც მიმდინარე სტატუსის მქონე წერილი. მაგალითად, მთავრობის ადმინისტრაციის 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებულია რომ, 2023 წელს შემოსული 128 წერილიდან 79 დაკმაყოფილდა ან გადამისამართდა რელევანტურ უწყებაში, ხოლო დანარჩენი 49 წერილი არის მიმდინარე. 2023 წელს IDFI-ს მთავრობის ადმინისტრაციაში გაგზავნილ 4 წერილზე პასუხი საერთოდ არ მიუღია. მათ შორის, ერთ-ერთი გაგზავნილია 2023 წლის 23 იანვარს. შესაბამისად, 10 დეკემბრის მდგომარეობით, ამ წერილზე ფიქსირდებოდა 10 თვიანი ვადაგადაცილება, თუმცა სტატისტიკაში მაინც მიმდინარე სტატუსით იქნა აღრიცხული. მსგავსი მდგომარეობაა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის და სხვადასხვა სსიპ-ების შემთხვევაში (იხ. ცხრილი).

საჯარო დაწესებულებები რომლებსაც 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებული აქვთ, რომ ყველა მოთხოვნა ან დაკმაყოფილებულია ან მიმდინარე სტატუსის მატარებელია				
საჯარო დაწესებულება	**2023 წლის 10 დეკემბრის ანგარიში**		**IDFI-ს მიერ გაგზავნილი წერილის თარიღი**	**პასუხის თარიღი**
	შესული განცხადება	**დაკმ. განცხადება**		
1.სსიპ-დაცული ტერიტორიების სააგენტო	35	35	02.05.2023	უპასუხო
2. სსიპ-ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო	6	6	02.05.2023	05.03.2024
3. სსიპ-ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო	2	2	27.04.2023	უპასუხო

საჯარო დაწესებულებები, რომლებსაც 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებული აქვთ, რომ ყველა მოთხოვნა ან დაკმაყოფილებულია ან მიმდინარე სტატუსის მატარებელია					
საჯარო დაესებულება	**2023 წლის 10 დეკემბრის ანგარიში**			**IDFI-ს მიერ გაგზავნილი წერილის თარიღი**	**პასუხის თარიღი**
	შესული განცხადება	**დაკმ. განცხადება**	**მიმდინარე სტატუსი**		
1.საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	173	113	60	26.01.2023	უპასუხო
				15.02.2023	უპასუხო
				27.04.2023	უპასუხო
2.სსიპ-აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი	140	134	6	27.04.2023	უპასუხო
3.საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	128	79	49	23.01.2023	უპასუხო
				12.04.2023	უპასუხო
				25.11.2023	უპასუხო
4. სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტი	118	115	3	02.05.2023	უპასუხო

5.სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	112	109	10	02.05.2023	უპასუხო
6.სსიპ-ტურიზმის ეროვნული ადმინსიტრაცია	70	67	3	27.04.2023	24.01.2024
7.სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	62	62[3]	12	27.04.2023	15.12.2024
8.სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის	55	49; 1-ნაწილობრივ დაკმაყოფილებული	5	27.04.2023	უპასუხო
9. სსიპ-მუნიციპალური განვითარების ფონდი	52	49	3	02.05.2023	უპასუხო
10. სსდ სპეციალური პენიტენციური სამსახური	37	23	14	27.04.2023	23.01.2024
11. სსიპ საკანონმდებლო მაცნე	33	30	3	02.05.2023	09.01.2024
12. სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	32	29	3	27.04.2023	უპასუხო
13. სსიპ-სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	27	20	7	27.04.2023	29.02.2024
14. სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	19	16	3	02.05.2023	08.01.2024
15. სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	16	15	1	27.04.2023	18.01.2024
16. სსიპ -განათლების საერთაშორისო ცენტრი	15	9	6	27.04.2023	29.12.2023

[3] მაჩვენებელი მითითებულია შეცდომით, 62 მოთხოვნიდან 12 მიმდინარეა, თუმცა დაკმაყოფილებულად ითვლება 62.

17.სსიპ-ციფრული მმართველობის სააგენტო	13	10	3	02.05.2023	11.01.2024
				19.07.2023	უპასუხო
18.სსიპ-საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	8	2	6	27.04.2023	24.01.2024
19.სსიპ-მსჯავდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი	5	3	2	27.04.2023	08.01.2024
20.სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი	5	3	2	02.05.2023	31.12.2023
21. სსიპ კურორტების განვითარების სააგენტო	2		2	27.04.2023	01.03.2024

ანგარიშებში ასახული საჩივრები

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დეკემბრის ანგარიშში ასახოს საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით შესული საჩივრების შესახებ ინფორმაცია. როგორც, დასაწყისში აღვნიშნეთ, კვლევის ობიექტ თითოეულ უწყებაში, საანგარიშო პერიოდში IDFI-ს გაგზავნილი ჰქონდა მინიმუმ ერთი ადმინისტრაციული საჩივარი. შესწავლილი 80 საჯარო დაწესებულებიდან, 38 უწყებას ანგარიშში საჩივრების შესახებ ინფორმაცია საერთოდ არ აქვს ასახული, ან დაფიქსირებული აქვს, რომ საჩივარი საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით არ შესულა. მათ შორისაა მაგალითად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და სხვადასხვა სსიპ-ი (იხ. ცხრილი).

ასევე, ვხდებით შემთხვევებს როდესაც საჯარო დაწესებულებების მიერ 10 დეკემბრს ანგარიშში ასახული საჩივრების რაოდენობას აღემატება, მხოლოდ IDFI-ს მიერ გაგზავნილი ადმინისტრაციული საჩივრების რიცხვი. მაგალითად, განათლების და მეცნიერების სამინისტროს მითითებული აქვს რომ, სამინისტროში სულ შესულია 4 ადმინისტრაციული საჩივარი. 2023 წელს მხოლოდ IDFI-ს მონაწილეობით (IDFI-ს სახელით ან ორგანიზაციის დახმარებით) სამინისტროში გაგზავნილია 6 ადმინისტრაციული საჩივარი.

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
3. სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
4. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
5. სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო;
6. სსიპ-საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური;
7. სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
8. სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
9. სსდ სპეციალური პენიტენციური სამსახური;
10. სსიპ-მსჯავდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი;
11. სსიპ-აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი;
12. სსიპ-საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;
13. სსიპ-ტურიზმის ეროვნული ადმინსიტრაცია;
14. სსიპ-სამოქალაქო ავიაციის სააგენტო;
15. სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო:
16. სსიპ-სახმელეთო ტრასნპორტის სააგენტო;
17. სსიპ - სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო
18. სსიპ-ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო;
19. სსიპ-ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო;
20. სსიპ-დაცული ტერიტორიების სააგენტო;
21. სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტო;
22. სსიპ-სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია;
23. სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო;
24. სისპ- საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი;
25. სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდი;
26. სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტი;
27. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;
28. სსიპ საკანონმდებლო მაცნე;
29. სსიპ იუსტიციის სახლი;
30. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო;
31. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
32. სსიპ ნოტარიუსთა პალატა;
33. სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრი;
34. სსიპ საქართველოს შსს აკადემია;

35. სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო;
36. სსიპ-ციფრული მმართველობის სააგენტო;
37. სსიპ-ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო;
38. სსიპ კურორტების განვითარების სააგენტო;

ანგარიშებში ასახული საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მიღებული უარის გადაწყვეტილებები

10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გადაწყვეტილება მიღებული აქვს 36 საჯარო დაწესებულებას. უმეტეს შემთხვევაში ინფორმაციის გაცემაზე უარის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ასახული ინფორმაცია (საკანონმდებლო აქტები, გადაწყვეტილების მიმღები პირი) **არასრულყოფილია.** 14 დაწესებულების შემთხვევაში საერთოდ არ არის მოცემული ინფორმაცია არც გადაწყვეტილების მიმღები პირისა და არც იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომელთაც ეყრდნობოდა უწყება. გადაწყვეტილების მიმღები პირის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ 5 შემთხვევაშია ასახული **(საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; სსიპ-შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი; სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტო; სსიპ-მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო)**. დამატებით ერთ შემთხვევაში კი (სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო) მოცემულია ზოგადი სახის ჩანაწერი, რომ გადაწყვეტილება მიღებულია სააგენტოს ხელმძღვანელის ან მის მიერ სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ. მნიშვნელოვანია ანგარიშში ჩანდეს რა თანამდებობები იგულისხმებოდა სათანადო უფლებამოსილებაში და ჩაშლილი იყოს რამდენი საჯარო ინფრომაციის მთხოვნის შემთხვევაში მოხდა ხელმძღვანელის მიერ გადაწყვეტილების მიღება და რამდენ შემთხვევაში სხვა უფლებამოსილი პირის მიერ, აგრეთვე რა იყო/არის მის მიერ დაკავებული პოზიცია. სხვა დანარჩენ შემთხვევებში (30 უწყება) მითითებული არ არის საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ უარყოფითი გადაწყვეტილების მიმღები პირი.

უარის შესახებ გადაწყვიტილებების საფუძვლებთან დაკავშირებით უწყებათა მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს განმარტებული საფუძვლები, უმეტესად მოცემული საფუძვლები ზოგადი სახითაა წარმოდგენილი. მაგალითად, თავდაცვის სამინისტროს შემთხვევაში მხოლოდ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კონკრეტული მუხლებია ჩამოთვლილი. მოცემულია, რომ სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების შემთხვევაში უარის თქმის საფუძველი გახდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3, 28-ე, 29-ე, 44-ე, 83-ე, 99-ე და 102-ე მუხლები, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის შემთხვევაში კი არ არის დაკონკრეტებული ინფორმაცია. აგრეთვე ჩაშლილი არ არის რამდენ შემთხვევაში გახდა კონკრეტული საკანონმდებლო აქტი უარის თქმის საფუძველი. იუსტიციის სამინისტროს შემთხვევაში, ჩანაწერი კიდევ უფრო ზოგადია და მთელი სისტემის მასშტაბით დასახელებულია, რომ უწყებათა გადაწყვეტილებები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შესახებ ეყრდნობოდა საქართველოს კონსტიტუციას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსს და სხვა ნორმატიული აქტებს“. 36 უწყებიდან მხოლოდ 2 შემთხვევაში ვხდებით სამართლებრივი საფუძვლების მითითების კარგ პრაქტიკას. მაგალითად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საანგარიშო პერიოდში 6 განაცხადზე აქვს მიღებული უარის გადაწყვეტილება, თითოეულ შემთხვევაში კი დეტალურად (მუხლების მითითებით) არის მითითებული რომელი საკანონმდებლო აქტი გახდა გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძველი.

ანგარიშებში ასახული საჯარო მონაცემთა ბაზები

შესწავლილი ანგარიშებიდან საჯარო მონაცემთა ბაზების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ 4 უწყებას ჰქონდა წარმოდგენილი. დანარჩენ შემთხვევებში ან საერთოდ უგულვებელყოფილი იყო ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულება, ან გაკეთებული იყო ზოგადი ჩანაწერები. აგრეთვე ხშირ შემთხვევაში მონაცემთა ბაზებად აღქმული იყო უწყებებში არსებული დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემები. საქართველოს კანონში „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ განმარტებულია, რომ მონაცემთა ბაზა არის სისტემური ან მეთოდური წესით დალაგებული ნაწარმოებების ან/და სხვა მონაცემებისა და მასალების კრებული, რომელიც ინდივიდუალურად ხელმისაწვდომია ელექტრონული ან სხვა საშუალებებით და ახსნილია, რომ ეს ტერმინი **არ გულისხმობს კომპიუტერულ პროგრამას, რომელიც გამოიყენება ელექტრონული საშუალებებით ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზის შექმნისა და გამოყენების დროს.**

ანგარიშებში მონაცემთა ბაზების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი ჰქონდათ შემდეგ უწყებებს:

1.საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

2.სსიპ-აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი

3. სსიპ-ტურიზმის ეროვნული ადმინსიტრაცია

4. სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც ფლობს შემდეგ მონაცემთა ბაზებს:

დანარჩენი უწყებების (63 უწყება) შემთხვევაში ან საერთოდ არ იყო ნახსენები მონაცემთა ბაზები, ან გაკეთებული იყო ზოგადი ჩანაწერები. მაგალითად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ანგარიშში ასახულია, რომ *„სამინისტროს მიერ ხორციელდება, სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული, შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციისა და მონაცემთა მოპოვება/დამუშავება/განზოგადება“*, თუმცა კონკრეტულად რა მონაცემთა ბაზებს ფლობს და მართავს უწყება ამასთა დაკავშირებით ინფორმაცია არ არის ასახული.

აგრეთვე, როგორც უკვე აღინიშნა, ხშირ შემთხვევაში მონაცემთა ბაზებად აღქმულია უწყებაში არსებული ელექტორნული დოკუმენტბრუნვის სისტემები, რომლებითაც ხდება კორესპოდენციების მართვა. მაგალითად სსიპ-კურორტების განვითარების სააგენტოს შემთხვევაში, ანგარიშში ინფორმაცია ასახულია 49-ე მუხლის პუნქტების შესაბამისად. საჯარო მონაცემთა ბაზების შესაბამის პუნქტში კი აღნიშნულია შემდეგი: *„საჯარო ინფორმაციის მოპოვება ხორციელდება შემდეგი პროგრამების საშუალებით- დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა „დესი“.* ანალოგიურად სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შემთხვევაშიც, დასახელებულია უწყებაში არსებული პროგრამული საშუალებები და არა მონაცემთა ბაზები. სსიპ-ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ანგარიშში კი ნათქვამია, რომ სააგენტოში ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, რის შედეგადაც აღნიშნულ პროგრამაში მოაცემთა ბაზების შექმნა ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში. თუმცა რა მონაცემთა ბაზები იქმნება ავტომატურად, ამაზე ინფორმაცია არ არის მოცემული. თითქმის ანალოგიური ჩანაწერია გაკეთებული სსიპ-ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს ანგარიშშიც.

მონაცემთა ბაზების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ამგვარი პრაქტიკა მიუთითებს, როგორც საჯარო უწყებებში მონაცემთა მართვის პროცესების არათანმიმდევრულობის, ისე მოხელეთა ცნობიერების გაზრდის საჭიროებაზე ამ მიმართულებით.

დასკვნა

კვლევის ფარგლებში შესწავლილი 82 უწყების 2023 წლის ე.წ 10 დეკემბრის ანგარიშების მონიტორინგმა აჩვენა რომ, წინა წლების მსგავსად, ხშირია შემთხვევები როდესაც საჯარო დაწესებულებები ანგარიშებში ასახავენ კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამო მონაცემებს.

მაგალითად, საანგარიშო პერიოდში IDFI-ს მიერ გაგზავნილი ადმინისტრაციული საჩივრების უგულვებელყოფა, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების უპასუხოდ დატოვების მიუხედავად, 10 დეკემბრის ანგარიშებში ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილების ასახვა, ასევე, თვეობით ვადაგადაცილებულ წერილებზე მინიჭებული მიმდინარე სტატუსები, საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის არაკეთილსინდისიერ და მანიპულაციურ აღრიცხვაზე მიუთითებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წინამდებარე ანგარიშში განხილული შეუსაბამობები, იდენტიფიცირებულია მხოლოდ IDFI-ს მოთხოვნებზე მიღებული პასუხების და 10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული მონაცემების ლოგიკური შედარებით. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ანგარიშების სრულყოფილი შესწავლის შემთხვევაში არსებული უზუსტობების და შეუსაბამობების მასშტაბები მნიშვნელოვნად გაიზრდება.

2023 წლის 10 დეკემბრის ანგარიშების მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი უზუსტობები, იმეორებს წინა წლებში არსებულ პრაქტიკას. შესაბამისად, 10 დეკემბრის ანგარიშების სანდოობისთვის, მნიშვნელოვანია IDFI-ს მიერ წინა წლებში შემუშავებული რეკომენდაციების შესრულება, რომელთა მნიშვენლოვანი ნაწილი გათვალისწინებულია საქართველოს პარლამენტის თემატური ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დასკვნაშიც.

IDFI კიდევ ერთხელ მოუწოდებს ხელისუფლებას გადადგას ქმედითი ნაბიჯები პარლამენტის თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების აღსრულებისთვის და უზრუნველყოს საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების დროული შესრულება.